საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2024 წელი

04.03.2025
www.geostat.ge

04.03.2025

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წელი)

2024 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 1 683[1] გემი, რომელთა 38.5 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 30.1 პროცენტი — თხევადი ტვირთმზიდი, 22.5 პროცენტი — კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 8.9 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2024 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 34.0 პროცენტით მეტი სპეციალიზებული გემი მიიღო, 15.9 პროცენტით მეტი — გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, 6.7 პროცენტით მეტი — თხევადი ტვირთმზიდი, 14.1 პროცენტით ნაკლები — კონტეინერმზიდი და 9.2 პროცენტით ნაკლები — ნაყარი ტვირთმზიდი.

შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით

(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2024 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 18.4 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავდა, 16.1 პროცენტი — პანამის, 9.6 პროცენტი — მალტის, 8.7 პროცენტი — ლიბერიის, 5.2 პროცენტი — რუსეთის, დანარჩენი 42.0 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



04.03.2025

2024 წელს საქართველოს ნავსადგურები 7.9 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 2.4 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი აღემატებოდა გასული მგზავრების წილს და 51.0 პროცენტს შეადგენდა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



04.03.2025

2024 წელს საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 15 562.3 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 5.8 პროცენტით მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 45.7 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 33.6 პროცენტი — თხევადი ტვირთი, ხოლო 20.7 პროცენტი — ნაყარი ტვირთი.

გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge